განკარგულება:**გ-37. 37262383**
თარიღი:**26/08/2026**

# განკარგულება N57

26 აგვისტო 2026 წელი

ქ. ოზურგეთი

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ““ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებას თანდართული წესის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

***გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :***

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა თანახმად დანართისა.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი